ევროკავშირი საქართველოსთვის

გურიის სამოქალაქო ცენტრი

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

# გურიის სამოქალაქო ცენტრის 5 წლიანი საქმიანობის ანგარიში _ 2019-2024



2024

ეს ანგარიშის დოკუმენტი შექმნილია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **„სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის"** ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია გურიის სამოქალაქო ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

KONRAD ADENAUER STIFTUNG

CSRDG

Institut für Europäische Politik

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

# სარჩევი


მისია და მიზნები 3

ორგანიზაციის გუნდი 5

ორგანიზაციის საქმიანობა:

- ტრენინგები 08
- საინფორმაციო კამპანიები 10
- ადვოკატირება 13
- საარჩევნო დებატები 15
- გარემოსდაცვითი საქმიანობა 16
- მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობის ხელშეწყობა 16
- კვლევები და ანგარიშები 17

პროექტები 19

ორგანიზაციის მომავალი ავტორიტარული რეჟიმის პირობებში 24

# ორგანიზაციის მისია და მიზნები

ორგანიზაციის დანიშნულებაა:

გურიის რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და უფლებების რეალიზების ხელშეწყობა მოქალაქეთა თვითშეგნების ამაღლებითა და მმართველობით პროცესებში ჩართულობის გაზრდით.
კერძოდ:

- მოქალაქეთა ინფორმირება;
- საჭიროებათა კვლევა;
- ინტერესთა დაცვის კამპანიების წარმოება;
- სახელმწიფო უწყებების მონიტორინგი.

ორგანიზაციის მიზნებია:

- ადამიანზე მორგებული მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;
- ადამიანის უფლებების სწავლება, მოქალაქეთა მხარდაჭერა, მათი ცოდნით და ინფორმაციით გაძლიერება;
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა;
- გარემოს დაცვა;
- ინფრასტრუქტურული პროექტების ინიცირება და მონიტორინგი.

## ორგანიზაციის ღირებულებებია:

- დემოკრატია და თანამონაწილეობა;
- ადამიანის თავისუფლებების და თანა-სწორობის რწმენა;
- გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე;
- განვითარებისკენ სწრაფვა;
- მიუკერძოებლობა;
- ცოდნა და პროფესიონალიზმი.

# გუნდის წევრები



## გრიგოლ მახარაძე

გურიის სამოქალაქო ცენტრის დირექტორი 2023 წლიდან. 2011-2023 წლებში იყო USAID-ის დაფუძნებული დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის კოორდინატორი. აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის, მოქალაქეთა ჩართულობის, გარემოს დაცვის და სხვა საკითხებზე პროექტების მართვის, ტრენინგების ჩატარების, შეხვედრებისა და დისკუსიების ორგანიზების გამოცდილება.



## ნინო ურუშაძე

პროექტების მენეჯერი. გურიის სამოქალაქო ცენტრის გუნდის წევრი 2021 წლიდან, გამგეობის წევრი 2023 წლიდან, იურისტი და სამოქალაქო აქტივისტი. არის ფემინისტი და ქალთა უფლებების მხარდამჭერი, ოზურგეთში გამართული ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილი საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი.



## ნათია ვაშალომიძე

პროექტების მენეჯერი. გურიის სამოქალაქო ცენტრის დამფუძნებელი და გამგეობის წევრი. 2013 წლიდან აქვს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში პროექტების მენეჯერად და PR მენეჯერად მუშაობის გამოცდილება.

# გუნდის წევრები



## კოკა კიღურაძე

ექსპერტი თვითმმართველობის საკითხებში. გურიის სამოქალაქო ცენტრის გუნდის წევრი 2020 წლიდან, ორგანიზაციის გამგეობის წევრი 2024 წლიდან. კოკა კიღურაძის გამოცდილება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების კვლევებს, ტრენინგებისა და ლექციების ჩატარებას. კარგად იცნობს რეგიონის კონტექსტს და აქვს კარგი საქმიანი ურთიერთობები გურიის რეგიონში მოქმედ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან.



## გიორგი გოლიაძე

ფინანსური მენეჯერი. გურიის სამოქალაქო ცენტრის გუნდის წევრი 2019 წლიდან. მისი გამოცდილება მოიცავს კერძო სექტორში გაყიდვებს, ფინანსურ მენეჯმენტს. 2019 წლიდან არის გურიის სამოქალაქო ცენტრის ფინანსური მენეჯერი და აქვს სხვადასხვა დონორისგან დაფინანსებული პროექტების ფინანსური მართვის გამოცდილება.



## თათია სამსონიძე

პროექტების ასისტენტი. ჟურნალისტი, სოციალური მედიის მენეჯერი. აქვს გამოცდილება ჟურნალისტიკასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში, არის ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის თანამშრომელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. გურიის სამოქალაქო ცენტრის გუნდის წევრი 2021 წლიდან.

## გუნდის წევრები



### ნონა გარგანჯია

პროექტების ასისტენტი. პროფესიით ექიმი, აქტივისტი და ფემინისტი. ტრენერი რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებში. გურიის სამოქალაქო ცენტრის გუნდის წევრი 2021 წლიდან.



### თამთა ცინცაძე

ჩოხატაურის კოორდინატორი. პროფესიით იურისტი, გურიის სამოქალაქო ცენტრის გუნდის წევრი 2021 წლიდან.



### ქეთევან წილოსანი

ლანჩხუთის კოორდინატორი. ფემინისტი აქტივისტი. გურიის სამოქალაქო ცენტრის გუნდის წევრი 2021 წლიდან.

# ორგანიზაციის საქმიანობა

## ტრენინგები:



**5 ტრენინგი ჩატარდა ადვოკატირების შესახებ.** ტრენინგს ესწრებოდნენ მოქალაქეები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე სხვადასხვა საკითხზე ადვოკატირების წარმართვით და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით. ტრენინგებს დაესწრო 70 ადამიანი.

**1 ტრენინგი ჩატარდა ჩოხატაურის მრჩეველთა საბჭოს წევრებისთვის,** რომლებსაც გავაცანით მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებები და მუშაობის წესი. ტრენინგს დაესწრო 10 ადამიანი.



# ორგანიზაციის საქმიანობა



**5 ტრენინგი ჩატარდა ქალთა შრომითი უფლებების შესახებ.** შეხვედრებს ესწრებოდნენ ქალები, რომლებთან ერთადაც განვიხილეთ შრომის კანონმდებლობა; შრომითი უფლებები და ამ უფლებების დაცვის მექანიზმები; გენდერული დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე; სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე, მისი იდენტიფიცირება და დაცვის სამართლებრივი მექანიზმები, სახალხო დამცველის მანდატი; ქალთა არაანაზღაურებადი შრომა. ტრენინგებს ესწრებოდა 59 ქალი.





**2 ტრენინგი ჩატარდა ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში''** მონაწილეობის მსურველი მოქალაქეებისთვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის წესებისა და პროცედურების შესახებ. ტრენინგებს 40 ადამიანი დაესწრო.

**7 ტრენინგი ჩატარდა გენდერული ნიშნით ძალადობაზე,** ოჯახში ძალადობაზე, ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების გზებსა და საშუალებებზე. შეხვედრებს 71 ქალი ესწრებოდა.

# საინფორმაციო კამპანიები:

2020 წელს ორგანიზაციამ გამართა საინფორმაციო შეხვედრების ციკლი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში, მელექედურში, ბაილეთში, ლიხაურში, ნაგომარში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში. მოქალაქეებთან საუბარი შეეხო ქვიშა-ხრეშის მოპოვების გამო სოფლებში წარმოქმნილ პრობლემებს, ქვიშა-ხრეშის უკანონო ან წესის დარღვევით მოპოვებაზე მოქალაქეების მხრიდან რეაგირების საშუალებებს და ფორმებს. საინფორმაციო შეხვედრებში 6 სოფლიდან 150-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.



2021-2022 წლებში გურიის სამოქალაქო ცენტრმა ჩაატარა საინფორმაციო კამპანია COVID-19-ის პირობებში გურიის რეგიონში ვაქცინაციის პროცესის ხელშესაწყობად. კამპანიის მიზანი იყო მოსახლეობისთვის ვაქცინაციის შესახებ სანდო ინფორმაციის მიწოდება, მათ შორის, ორსული და მეძუძური ქალებისთვის; ვაქცინაციის შესახებ დადებითი გამოცდილების გაზიარება და ვაქცინაციაზე ხელმისაწვდომობის გამარტივება. კამპანიის ფარგლებში ორგანიზაციის ფეისბუქის გვერდზე გამოქვეყნდა: 10 საინფორმაციო პოსტი; 10 მოკლე ვიდეო კოვიდისა და ვაქცინაციის გარშემო ყველაზე გავრცელებული კითხვის შესახებ; ჩაიწერა და გამოქვეყნდა ვაქცინირებული პირების 10 ვიდეო; ორგანიზაციის ფეისბუქის გვერდზე ექსპერტის მონაწილეობით შედგა ორი ლაივ-გადაცემა, რომელშიც მოწვეული ექსპერტი პირდაპირ რეჟიმში პასუხობდა მოსახლეობის შეკითხვებს. ჩატარდა კარდაკარ შეხვედრები მოსახლეობასთან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალსა და ლაითურში, სოფელ ნატანებში, ლიხაურში, ასევე, ოზურგეთის ურბანულ მოსახლეობასთან; ქალაქ ლანჩხუთში, ქალაქ ჩოხატაურში და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ხიდისთავში, ქვენობანში, წიფნაგვარაში, ბუკნარსა და ჟაჟიეთში.



# ორგანიზაციის საქმიანობა

2023 წელს გურიის სამოქალაქო ცენტრმა ჩაატარა საინფორმაციო კამპანია მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ. შეხვედრების თემა იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი; მუნიციპალიტეტების შეფასების კრიტერიუმები – რა ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი მათ ვებგვერდებზე და როგორია ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების შეფასება. ასევე, საუბარი შეეხო თვითმმართველობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობასა და ჩართულობის მექანიზმებს. შეხვედრები გაიმართა მოსახლეობასთან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნარუჯასა და ლაითურში, დაბა ჩოხატაურში და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ხიდისთავსა და ჯვარცხმაში. შეხვედრებს 45 ადამიანი ესწრებოდა.

2023 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ორგანიზაციამ ჩაატარა საინფორმაციო კამპანია მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვის შესახებ. მოსახლეობასთან შეხვედრები გაიმართა ქალაქ ოზურგეთსა და ლანჩხუთში; დაბა ურეკში, ლაითურში, ნარუჯაში, ჩოხატაურსა და ნასაკირალში; სოფლებში – ხიდისთავი, ნატანები, შრომა, მერია, დვაბზუ და ლიხაური. მოქალაქეებს მივაწოდეთ ინფორმაცია შინაური ცხოველების სტერილიზაცია-კასტრაციის მნიშვნელობაზე, როგორც ამ პრობლემის მოგვარების ჰუმანურ გზაზე, რომელიც ცხოველთა კეთილდღეობასაც ემსახურება. ასევე, ვისაუბრეთ იმ მითების შესახებ, რომლებიც ამ საკითხის გარშემო არსებობს და საზოგადოებაში ცრუ წარმოდგენებს აღვივებს. საინფორმაციო კამპანიამ მოიცვა 145 ადამიანი.



# ორგანიზაციის საქმიანობა



ევროინტეგრაციის იდეის მხარდაჭერის მიზნით, გურიის სამოქალაქო ცენტრის ორგანიზებით, ქალაქ ოზურგეთში სპორტული მატჩების საჯარო ჩვენებები გაიმართა. ქალაქის ცენტრში - ჭადრების ბაღში, და სოციალურ კაფე „არჩივში“ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო და სარაგბო ნაკრებების ოფიციალური მატჩების ღია ჩვენებები მოეწყო. ჩვენებებზე მონაწილეებს დაურიგდათ ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული მასალები: გაზეთები, პინები, ბლოკნოტები და სხვა. ჩატარდა სამაგიდე თამაშები და გათამაშდა ვიქტორინები საქართველოს ევროპული ისტორიის და პერსპექტივის შესახებ. ჩვენებებს ჯამში 350-მდე ადამიანი დაესწრო.

2024 წელს გურიის სამოქალაქო ცენტრმა ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების სოფლებისა და დაბების მოსახლეობასთან ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში'' მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ, განვიხილეთ სოფლის საჭიროებები და მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა. შეხვედრები გაიმართა დაბებში – ლაითური და ნარუჯა; სოფლებში – მელექედური, შემოქმედი, მაკვანეთი, ქვენობანი, ხიდისთავი, ვანი, გომგოლესუბანი, შუა ფარცხმა, ზემო ფარცხმა, დიდივანი. შეხვედრებმა მოიცვა დაახლოებით 150 ადამიანი.



# ადვოკატირება

# პარკები და სკვერები

პარკები და სკვერები

2020 წლიდან მოვითხოვეთ არაერთი პარკის, სკვერისა და სარეკრეაციო სივრცის დაცვა ან რეაბილიტაცია. 2020 წელს გამოვეცით ანგარიში ქალაქ ოზურგეთში სარეკრეაციო სივრცეების მდგომარეობის შესახებ.
2020 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარვადგინეთ პეტიცია ექადიის ტყე-პარკის რეაბილიტაციის შესახებ. პეტიციით ვითხოვდით:

- პარკის სახელმწიფო საკუთრებიდან მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემას
- კონკურსის წესით ტყე-პარკის სარეაბილიტაციო პროექტის შერჩევას და მის რეაბილიტაციას
- ტყე-პარკის მუდმივი მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფას მუნიციპალიტეტის მიერ

ექადიის პეტიციის QR კოდი

ექადიის ტყე-პარკის რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტმა 2022 წელს დაიწყო.

2021 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მივმართეთ რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერის რეაბილიტაციის, ასევე, ქალაქის ტერიტორიაზე მცირე მდინარეების გაცოცხლებისა და სანაპიროს ქუჩის რეაბილიტაციის ინიციატივით, რაც გულისხმობდა:

- სანაპიროს გასწვრივ ქვეითთათვის უსაფრთხო საფეხმავლო ზოლის და ტროტუარის მოწყობას
- ველობილიკისა და ველოპარკინგების მოწყობას
- სანაპიროს აღჭურვას სკამებით, ნაგვის ურნებით, გარეგანათებით
- გაზონის მოწესრიგებას, გამწვანებას, დეკორატიული ყვავილებისა და მცენარეების დარგვას
- სპორტული მოედნის რეაბილიტაციას
- ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაციას

2022 წელს გამოცხადებული ,,ჩოხატაურის სამოქალაქო ბიუჯეტის" ფარგლებში წარვადგინეთ იდეა – „საფეხბურთო მოედანი დაბის ცენტრში". იდეა ითვალისწინებდა დაბა ჩოხატაურში მდებარე მინი საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაციას, მინდვრის საფარის შეცვლას, საფეხბურთო კარების, კალათბურთის ფარების, დასაჯდომი სკამები მოწყობას, გარე ტრენაჟორებისა და სასმელი წყლის სოკოს მონტაჟს.
ხმის მიცემის შედეგად, მუნიციპალიტეტმა საფეხბურთო მოედანი დაბის ცენტრში" 2 გამარჯვებულ იდეას შორის გამოაცხადა, ქვეპროგრამის სახით შეიტანა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში და გამოყო დაფინანსება – 50 000 ლარი.
მიუხედავად ამისა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ არ შეასრულა აღებული ვალდებულება და დაბის ცენტრში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია არ მომხდარა.



## გენგეგმა

2020 წელს დავიწყეთ ქალაქ ოზურგეთისთვის გენერალური გეგმის შემუშავების ადვოკატირება. სატელევიზიო სიუჟეტებით, საგაზეთო ჩანართებით, ვიზუალიზაციებით, მოქალაქეებთან და სპეციალისტებთან შეხვედრებით, ვცდილობდით, დაგვერწმუნებინა ადგილობრივი ხელისუფლება ქალაქის გენერალური გეგმის არსებობის აუცილებლობაში. მივმართეთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი პეტიციით. 2023 წელს სსიპ სივრცითი მოწყობის სააგენტომ დაიწყო ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის კონცეფციის შემუშავება.

## მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვა

2021 წლიდან ვცდილობდით, ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღება მიგვექცია მიუსაფარი ძაღლების პრობლემაზე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  საკრებულოში შევიტანეთ პეტიცია, რათა საკრებულოს პრობლემის გადაჭრის შესახებ განხილვა დაეწყო. მუნიციპალიტეტის საკრებულომ პეტიცია კანონით დადგენილი წესით არ განიხილა. 2023 წელს ჩვენ აღვრიცხეთ ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე მიუსაფარი ძაღლები და მოვამზადეთ მიუსაფარი ძაღლების მართვის სტრატეგია. სტრატეგიაში აღწერილია მიუსაფარი ცხოველების პრობლემის წარმოქმნის მიზეზები, მოცემულია გადაჭრის გზები, კონკრეტული სამოქმედო ნაბიჯები და გაწერილია შესაბამისი ბიუჯეტი.

გენ-გეგმის პეტიციის QR კოდი

მიუსაფარი ცხოველების სტრატეგიის QR კოდი

მიუსაფარი ცხოველების პეტიციის QR კოდი

## საზოგადოებრივი ტრანსპორტი

2021 წლიდან ვსაუბრობთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემის შესახებ. პრობლემის საილუსტრაციოდ, მოვამზადეთ თოქ-შოუ ადგილობრივ ტელევიზიაში, გადავიღეთ მოკლე ვიდეოების ციკლი „ტრანსპორტის მოლოდინში“. 2023 წელს ოზურგეთში ევროპის საბჭოს მიერ შექმნილი მოქალაქეთა ასამბლეის მეშვეობით, მერიის წინაშე წარვადგინეთ რეკომენდაციები საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესების შესახებ.

ასევე, გურიის სამოქალაქო ცენტრს, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფორმით, საზოგადოებისა და ხელისუფლების წინაშე დაუყენებია ქალაქ ოზურგეთში კანალიზაციის ქსელისა და გამწმენდი ნაგებობის არარსებობის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგებისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის პრობლემები.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემა ოზურგეთში - QR კოდი

# საარჩევნო დებატები

ჩვენ ვცდილობდით, გასული არჩევნების დროს ხელი შეგვეწყო შინაარსობრივი დისკუსიებისთვის საარჩევნო სუბიექტებს შორის. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ჩავატარეთ დებატები გურიაში მაჟორიტარული წესით წარდგენილ კანდიდატებს შორის. 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების წინ მერობის ყველა კანდიდატს მივმართეთ შვიდი იდენტური კითხვით – კითხვები შეეხებოდა ჩვენ მიერ გამოყოფილ შვიდ პრიორიტეტულ საკითხს: მიუსაფარი ძაღლები, ტრანსპორტი, კანალიზაცია, წყალმომარაგება, გზები, გენგეგმა და პარკები. საჯაროდ გამოვაქვეყნეთ შვიდივე საკითხის გარშემო ყველა კანდიდატის პასუხი, რათა ამომრჩევლებს ინფორმირებული არჩევანი გაეკეთებინათ. გამარჯვებული კანდიდატის პასუხები დავბეჭდეთ და ყოველი წლის ბოლოს მისი შესრულების საჯარო შეფასებას ვაკეთებთ.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ჩავატარეთ საჯარო დისკუსიების ციკლი – ,,რა აწუხებთ ამომრჩევლებს გურიაში?'' საჯარო დისკუსიებისთვის შეირჩა სამი ყველაზე მწვავე საკითხი ადგილობრივი მოსახლეობისთვის: ეკონომიკური განვითარება, ჯანმრთელობის დაცვის სერვისები და მიუსაფარი ცხოველების მართვა. დისკუსიები ამომრჩევლების, ექსპერტებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მონაწილეობით წარიმართა, სადაც ექსპერტები და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები მონაწილეებს აცნობდნენ საკუთარ ხედვებს დასმულ პრობლემებთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემა ოზურგეთში - QR კოდი



# გარემოსდაცვითი საქმიანობა

2020 წელს ჩვენ შევისწავლეთ გურიის რეგიონში, მდინარეებზე – სუფსაზე, ნატანებსა და გუბაზეულზე ინერტული მასალის, ქვიშა-ხრეშის მოპოვების პრაქტიკა, გამოვავლინეთ ხარვეზები და უკანონო და წესის გარეშე მოპოვების ფაქტები.

2021 წელს მონიტორინგი გავუწიეთ რეგიონში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, "სკოპინგისა" და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების საჯარო განხილვების ჩატარების პროცესს.

გამოვეცით გურიის რეგიონში დაგეგმილი სამი ჰიდროელექტროსადგურის – „ნატანები 3-ის", „ბარამიძისჰესის" და „ბახვი 1-ის" "სკოპინგების" და გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტების შესახებ კრიტიკული დასკვნები. შენიშვნები და კომენტარები ოფიციალური სახით წარვადგინეთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

# მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობის ხელშეწყობა

გურიის სამოქალაქო ცენტრის ჩართულობით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შეიქმნა პრეცედენტი, როდესაც საკრებულოს წევრებმა პირველად მოაწყვეს ანგარიშების საჯარო წარდგენა მოსახლეობასთან. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი წევრის შემთხვევაში ანგარიშები ჩაბარდა კანონით დადგენილ ვადაზე გვიან, მნიშვნელოვანია, რომ მანამდე კანონის აღსრულება საერთოდ არ ხდებოდა.

ასევე, ჩვენი ჩართულობით, ჩოხატაურის მერმა პირველად შექმნა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონით სავალდებულოა, თუმცა აქამდე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას ასეთი საბჭო არ ჰყოლია. მერიას დასამტკიცებლად წარვუდგინეთ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებაც.

# კვლევები და ანგარიშები

## 01

### ქალაქ ოზურგეთის პარკების მდგომარეობის ამსახველი ანგარიში

ანგარიში ასახავს ქალაქ ოზურგეთში პარკებისა და სკვერების სამართლებრივ სტატუსს და ფიზიკურ ინფრასტრუქტურას 2020 წლის მდგომარეობით. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები არსებული პარკების გაუმჯობესების და ახალი სარეკრეაციო ტერიტორიების მოწყობის შესახებ.

## 02

### ქვიშა-ხრეშის მოპოვების პრაქტიკა გურიის რეგიონში

კვლევაში აღწერილია საქართველოში ქვიშა-ხრეშის მოპოვებაზე ლიცენზიის გაცემის წესი, სამართლებრივი პროცედურები, ლიცენზიის პირობების დაცვაზე ზედამხედველობის წესი, ასევე, გურიის რეგიონში ქვიშა-ხრეშის მოპოვების კუთხით არსებული პრაქტიკა და განხორციელებული საველე მონიტორინგის შედეგები.

## 03

### ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის შედგენის წინასაპროექტო ურბანული ანალიზი

პოლიტიკის დოკუმენტში მოცემულია რეკომენდაციები ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის შედგენისთვის, ასევე, სამართლებრივი ანალიზი პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის.

## 04

### ურბანული გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ქალაქ ოზურგეთში

ანგარიშში მოცემულია ქალაქ ოზურგეთში არსებული პრაქტიკა მშენებლობის ნებართვების გაცემის, მწვანე საფარის დაცვის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვის და ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის შესახებ. მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიისთვის.

05

## ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების კვლევა

კვლევა ასახავს გურიის რეგიონის მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით გამოკითხვის შედეგებს. მასში ასახულია რეგიონში მცხოვრები ქალაქების და დაბების მოსახლეობის, ქალების, ახალგაზრდებისა და რელიგიური უმცირესობების საჭიროებები.

06

## გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მონიტორინგი გურიის რეგიონში

ანგარიში ასახავს გურიის რეგიონში სკოპინგის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტების საჯარო განხილვების მონიტორინგის შედეგებს, ასევე, გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებში ჩართულობის შესახებ მოსახლეობის კვლევის შედეგებს.

07

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მონაწილეობითი მონიტორინგის ანგარიში

ანგარიშში ასახულია 2024 წელს ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' ფარგლებში დასახლების საერთო კრებების/ კონსულტაციების მოწვევა, მიმდინარეობა და პროექტების შერჩევის არსებული პრაქტიკა.

08

## საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემა ოზურგეთში

პოლიტიკის დოკუმენტი ასახავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სამგზავრო გადაზიდვების სამართლებრივ რეგულირებას, ასევე, მოცემულია მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების კუთხით პრაქტიკული რეკომენდაციები.

# პროექტები:

## პარკი ყველას

პროექტი განხორციელდა ევროპის ფონდის დაფინანსებით, შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს და დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გრანტის ფარგლებში.

- განხორციელების ვადები: ნოემბერი 2019 – ივლისი 2020
- მიღებული დაფინანსება: 17 931,33 ₾
- პროექტის არეალი: ქალაქი ოზურგეთი
- პროექტის დირექტორი: ნათია ვაშალომიძე

## გადავარჩინოთ გურიის მდინარეები

პროექტი განხორციელდა „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRDG) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ (2017 -2020) ფარგლებში. პროექტს ახორციელებდა კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის ხელმძღვანელობით. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, ხოლო თანადამფინანსებელი – კონრად ადენაუერის ფონდი (KAS).

- განხორციელების ვადები: მარტი 2020 – აგვისტო 2020
- პარტნიორი: გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია – ეკო
- მიღებული დაფინანსება: 15 647,91 ₾
- პროექტის არეალი: ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები
- პროექტის დირექტორი: გრიგოლ მახარაძე

## „ვითხოვთ პასუხს“

პროექტი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით განხორციელდა.

- განხორციელების ვადები: ივლისი 2020 – ნოემბერი 2020
- პარტნიორი: ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი და სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო
- მიღებული დაფინანსება: 25 029 ₾
- პროექტის არეალი: გურიის რეგიონი
- პროექტის დირექტორი: კოკა კილურაძე

## მოქალაქეები უკეთესი ქალაქისთვის

პროექტი საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

- განხორციელების ვადები: იანვარი 2021 – ოქტომბერი 2021
- მიღებული დაფინანსება: 46632,78 ₾
- პროექტის არეალი: ქალაქი ოზურგეთი
- პროექტის დირექტორი: გრიგოლ მახარაძე

## ინფორმირებული არჩევანი

პროექტი განხორციელდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით.

- განხორციელების ვადები: აპრილი 2021 – დეკემბერი 2021
- პარტნიორი: ქალები რეგიონის განვითარებისთვის
- მიღებული დაფინანსება: 46 517 ₾
- პროექტის არეალი: გურიის რეგიონი
- პროექტის დირექტორი: კოკა კილურაძე

## მედია–კამპანია გურიის რეგიონში COVID-19 ვაქცინაციის პროცესის ხელშეწყობისთვის.

პროექტი ERIM (Equal Rights & Independent Media – ყოფილი IREX Europe) და თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის (HRHT) დაფინანსებით განხორციელდა

- განხორციელების ვადები: ნოემბერი 2021 – აპრილი 2022
- პარტნიორი: ქალები რეგიონის განვითარებისთვის, მედია-პლატფორმა გურია TV
- მიღებული დაფინანსება: € 4994
- პროექტის არეალი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
- პროექტის დირექტორი: ნინო ურუშაძე

## საინიციატივო ჯგუფები მოქალაქეთა პრობლემების ადვოკატირებისთვის

პროექტი აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით განხორციელდა

- განხორციელების ვადები: იანვარი 2022 – იანვარი 2024
- პარტნიორი: ქალები რეგიონის განვითარებისთვის,  ლანჩხუთის ახალგაზრდული მოძრაობა
- მიღებული დაფინანსება: $ 73 220
- პროექტის არეალი: გურიის რეგიონი
- პროექტის დირექტორი: ნათია ვაშაღომიძე

## რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციები მუნიციპალური გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მხარდასაჭერად

პროექტი განხორციელდა კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის მიერ  ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ (STAR Initiative) ფარგლებში.

- განხორციელების ვადები: ივლისი 2022 – მარტი 2023
- მიღებული დაფინანსება: 32 625 ₾
- პროექტის არეალი: ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები
- პროექტის დირექტორი: ნინო ურუშაძე

## ღირსეული სამუშაო პირობები შენი უფლებაა

- განხორციელების ვადები: ივნისი 2023 – დეკემბერი 2023
- მიღებული დაფინანსება: € 6 569
- პროექტის არეალი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
- პროექტის დირექტორი: ნინო ურუშაძე

# პროექტები

## ვგულშემატკივრობთ საქართველოს

პროექტი საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა

- განხორციელების ვადები: სექტემბერი 2023 – ნოემბერი 2023
- მიღებული დაფინანსება: $ 7238
- პროექტის არეალი: ქალაქი ოზურგეთი
- პროექტის დირექტორი: გრიგოლ მახარაძე

## ქალები ვაძლიერებთ ერთმანეთს

- განხორციელების ვადები: ნოემბერი 2023 – ივნისი 2024
- მიღებული დაფინანსება: € 10 000
- პროექტის არეალი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
- პროექტის დირექტორი: ნინო ურუშაძე

## საკითხზე ორიენტირებული საჯარო დისკუსიები

პროექტი განხორციელდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით.

- განხორციელების ვადები: დეკემბერი 2023 – ივლისი 2024
- მიღებული დაფინანსება: 29 117 ₾
- პროექტის არეალი: გურიის რეგიონი
- პროექტის დირექტორი: ნათია ვაშალომიძე

## მუნიციპალური ტრანსპორტის საზოგადოებრივი მონიტორინგი

პროექტი განხორციელდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროექტის „სოციალური კაპიტალის შექმნა სსო-ების გაძლიერებითა და ადგილობრივი ქსელის გაძლიერებით“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის ‘Strengthening Civil Society in the Eastern Partnership’ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს დაკვეთით და ევროკავშირის თანადაფინანსებით.

- განხორციელების ვადები: იანვარი 2024 – ივნისი 2024
- მიღებული დაფინანსება: € 4 538
- პროექტის არეალი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
- პროექტის დირექტორი: გრიგოლ მახარაძე

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მონაწილეობითი მონიტორინგი

პროექტი განხორციელდა USAID Local Governance Program • ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა-ს დაფინანსებით.

- განხორციელების ვადები: დეკემბერი 2023 – აგვისტო 2024
- მიღებული დაფინანსება: 45 450 ₾
- პროექტის არეალი: ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები
- პროექტის დირექტორი: გრიგოლ მახარაძე

## ჩართულობა ცვლილებებისთვის

პროექტი განხორციელდა „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ (CSI) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ ფარგლებში.

- განხორციელების ვადები: თებერვალი 2024 – ივლისი 2024
- მიღებული დაფინანსება: € 9 886
- პროექტის არეალი: გურიის რეგიონი
- პროექტის დირექტორი: გრიგოლ მახარაძე

## ორგანიზაციის მომავალი ავტორიტარული რეჟიმის პირობებში

ჩვენი ორგანიზაცია დაარსების დღიდან ემსახურება გურიის რეგიონის მოსახლეობის ინტერესებს.

2024 წელს მიღებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი უცხური გავლენის გამტარად აცხადებს ყველა ორგანიზაციას. ანალოგიურმა კანონმა რუსეთში თანდათანობით გააქრო ყველა დემოკრატიული ინსტიტუტი და გაამყარა დიქტატურა. კანონი ამყარებს ავტორიტარიზმს ქვეყანაში, გვაიძულებს, გავიაროთ რეგისტრაცია „ უცხოური გავლენის გამჭვირვალობის რეესტრში“ და განვაგრძოთ საქმიანობა შეურაცხმყოფელი იარლიყის ქვეშ.



ჩვენი ორგანიზაცია დაარსების დღიდან ემსახურება გურიის რეგიონის მოსახლეობის ინტერესებს.

2024 წელს მიღებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი უცხური გავლენის გამტარად აცხადებს ყველა ორგანიზაციას. ანალოგიურმა კანონმა რუსეთში თანდათანობით გააქრო ყველა დემოკრატიული ინსტიტუტი და გაამყარა დიქტატურა. კანონი ამყარებს ავტორიტარიზმს ქვეყანაში, გვაიძულებს, გავიაროთ რეგისტრაცია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის რეესტრში“ და განვაგრძოთ საქმიანობა შეურაცხმყოფელი იარლიყის ქვეშ.